საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2332
04/04/2023

2332-21-2-202304041647

შპს „ნეონსტარს“
მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის №233
ელ. ფოსტა: info@neonstar.ge teimuraz-1955@mail.ru

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №872 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის №233-ში წყალში ხსნადი საღებავების საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებას უნდა დაერთოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონისა/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ, ამ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობის შემთხვევაში;
- სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული საწარმო მოწყობილია და ფუნქციონირებს 2022 წლის 10 ნოემბრიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, შენობის ნაწილი (40 მ^2), რომელშიც იგეგმება საწარმოს განთავსება წარმოადგენს ფ/პ მავილე ზაქარიაძის საკუთრებას, რომელიც იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცა შპს „მოგამს“, რომელმაც, თავის მხრივ, აღნიშნული ფართი გადასცა შვილობილ კომპანიას - შპს „ნეოსტარს“, თუმცა სკრინინგის განცხადებას არ ერთვის სარგებლობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი;
- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 25 მეტრით. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 8 მეტრით, რაც საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით უახლოესი საცხოვრებელი სახლის მესაკუთრესთან კომუნიკაციის ამსახველ ინფორმაციას;

- სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს მიმდებარედ ფუნქციონირებს წებოცემენტის დამამზადებელი საწარმო. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 50 მეტრში განთავსებულია შპს „DVD-ROM GROUP“-ის, 90 მეტრში შპს „დემასის“, 160 მეტრში შპს „ბბ-ბალავარის“, 180 მეტრში შპს „ავტო-2000“-ის, 250 მეტრში შპს „გენის“და 300 მეტრში შპს „თეგას“ საწარმოები. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს აღნიშნული საწარმოების ფუნქციური დანიშნულების შესახებ ინფორმაცია, ასევე შეფასებული უნდა იქნეს არსებული და დაგეგმილი საწარმოების ერთობლივი ფუნქციონირების შედეგად მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება უახლოესი მოსახლის (8 მ) გათვალისწინებით;
- სკრინინგის განცხადებაში აღწერილი უნდა იქნეს საწარმოში ნედლეულის ტრანსპორტირებიდან საბოლოო პროდუქციის მიღებამდე წყალში ხსნადი საღებავების წარმოების სრული ციკლი, საწარმოს შესაბამის გენ-გეგმაზე დატანით. დოკუმენტში ასევე მითითებული უნდა იქნეს საღებავების დასამზადებლად საჭირო ნედლეულის რაოდენობები;
- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საწარმოში შემოზიდული ნედლეულის და მზა პროდუქციის გატანის შესახებ (შეფუთვა, ტრასპორტირება);
- სკრინინგის განცხადების 3.1 თავის თანახმად, „წყლიანი მიქსერიდან გამოყოფილი მტვრის (შეწონილი ნაწილაკები) რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ საწარმო არ საჭიროებს გამწოვი დანადგარებით აღჭურვას, ხოლო რაც შეეხება გამოყოფილ მცირე რაოდენობის მავნე ნივთიერებას მტვერს, ის კედელში არსებული ღიობის მეშვეობით, არაორგანიზებულად გაიფრქვევა გარემოში“. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული საკითხის დამადასტურებელი შესაბამისი ინფორმაცია (გათვლები, დეტალური დასაბუთება და ა.შ). ამასთან, მე-7 თავში (ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე) ნათქვამია, რომ „საწარმოს საქმიანობის შედეგად ატმოსფეროში გამოიყოფა უმნიშვნელო რაოდენობის მავნე ნივთიერებები“, თუმცა 7.1 თავში მავნე ნივთიერებების სახით წარმოდგენილია მხოლოდ შეწონილი ნაწილაკები. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემულია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, მე-8 თავში მოცემული ინფორმაციის თანახმად, „ყველაზე უარესი სცენარის შემთხვევაში ხმაურის მაქსიმალური შესაძლო გავრცელების მაჩვენებელი საწარმოს ექსპლუატაციის დროს უახლოეს დასახლებულ პუნქტთან, ხმაურის შემამცირებელი საშუალებების გარეშე შეიძლება იყოს 29.4 დბა“. თუმცა, მე-11 თავში ნახსენებია, რომ „გამოთვლებმა ცხადყო, რომ ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუარესებას ადგილი არ ექნება, ხოლო ხმაურის რეალური დონე უახლოესი საცხოვრებელი სახლის საზღვართან შეადგენს 34-39 დბა-ს“. დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს ზემოაღნიშნული საკითხი, ასევე მოცემული უნდა იყოს შესაბამისი ინფორმაცია გამოთვლების (წყარო, მეთოდი და ა.შ) შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი საქმიანობის შედეგად სუნის გავრცელების შესახებ ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო